საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №3

2025 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებაში (სსმ III, 18.03.2009, №32, მუხ. 377) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 56-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) შემთხვევები, სადაც დაზარალებულნი ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ქალები ან ბავშვები არიან;“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**ნათია კუკულაძე**
კომისიის წევრი	**ივანე მახარაძე**
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**ვახტანგ აბაშიძე**